ბორჯომი

12 მაისი
ხუთშაბათი
2022 წელი
№19 (9229)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

პრიორიტეტს ადგილზე გაეცნენ

ბორჯომის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და ბორჯომის მერიის მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებმა, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული სახელმწიფო პროგრამის **„განახლებული რეგიონების“** ფარგლებში, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს.

ხელისუფლების წარმომადგენლები მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტს ადგილზე გაეცნენ და სამუშაოების მიმდინარეობის ხარისხი შეისწავლეს.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, ბორჯომში მერაბ კოსტავას სახელობის მოედნის და სკვერის განახლება-რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

კოსტავას სახელობის ბაღის რეაბილიტაციის ფარგლებში ტერიტორია დაიყო მოსასვენებელ და გასართობ სივრცეებად. გასართობ სივრცეებში საბავშვო, ჭადრაკის მოედანები და ღია კინოთეატრი მოეწყობა. ტერიტორია გალამაზდება შადრევნებით და დეკორატიული განათებებით. ფუნქციური ზონები ერთმანეთს დაუკავშირდება გრანიტის ქვაფენილით, რომელიც განათებული იქნება ლამპიონებით. ტერიტორიაზე განთავსდება სკამები და სასმელი წყლის ბიუვეტები.

კოსტავას სახელობის მოედნის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში გზის სავალი ნაწილის ქვაფენილით მოპირკეთება დასრულდა, ფეხით სავალი ნაწილის გრანიტის ფილით და მოედნის მიმდებარედ სკვერის მოწყობა მიმდინარეობს.

პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 4 200 000 ლარით ფინანსდება.

ბორჯომში 9 მაისი აღინიშნა

9 მაისს, ბორჯომში ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი აღინიშნა. შინმოუსვლელთა სკვერში მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები და საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ და მემორიალი გვირგვინებით შეამკეს.

დეკანოზმა **იოანე ხეცურიანმა** დაღუპულთა მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** მეორე მსოფლიო ომში, ქართველთა წვლილზე და მათ თავდადებაზე ისაუბრა. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა ანსამბლმა „მზეშინამ“ და „ნენანამ“.

მოგვიანებით საზეიმო სვლა ძმათა სასაფლაოზე მოეწყო, სადაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა და რიგითმა მოქალაქეებმა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი და გმირთა საფლავები ყვავილებით შეამკეს.

9 მაისთან დაკავშირებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი** და მერის მოადგილე **იოსებ რაზმაძე** მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, **ოთარ გელაშვილს** სახლში ეწვიენ.

ომის ვეტერანს ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი მიულოცეს და თარიღთან დაკავშირებით საჩუქრები გადასცეს.

ომის ვეტერანმა მერს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ვეტერანების მიმართ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის და სახელმწიფოს მხრიდან არსებული ყურადღება ძალიან დასაფასებელია.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს, ბორჯომში მეორე მსოფლიო ომის 2 ვეტერანს, ბორჯომის მერიამ 300-300 ლარი გადასცა, ხოლო 10 მარჩენალდაკარგულ პირს - 100-100 ლარი, ასევე ვეტერანები საქართველოს მთავრობისგან ერთჯერადად 1000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები - 500 ლარს მიიღებენ.

მეორე მსოფლიო ომი ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი. ომს, რომელიც 1941 წლიდან 1945 წლამდე მიმდინარეობდა 300 ათასი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. ბრძოლები 61 სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

შეხვედრა მაღალმთიან სოფლებში



ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქალთა ოთახის“ მენეჯერმა **ნონა ლურსმანაშვილმა** და ბორჯომის მერიის გენდერზე პასუხისმგებელმა პირმა **სოფო მუმლაძემ,** მაღალმთიან სოფელ საკირეში, ტაძრიში და დგვარში მცხოვრებ ქალებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. შეხვედრას ესწრებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯუმბერ კურტანიძე.**

დავით ზაალიშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მუნიციპალური სერვისები, მათ თემში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები და სოციალური პროგრამები. ასევე ადგილზე გაეცნო მოსახლეობის პრობლემებს.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის დავით ზაალიშვილის თქმით, -„ქალთა ოთახი“ არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შექმნილი ღია სივრცე, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ქალებს მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში და გაზარდოს, წაახალისოს ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

„ქალთა ოთახი“-ს საშუალებით ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობას თავაზობს დამატებით საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებას, ასევე თავისუფალ, ღია სივრცეს, სადაც ვიზიტორებს შეუძლიათ კომპიუტერთა და ინტერნეტით, საბავშვო კუთხით, ბიბლიოთეკითა და სხვა მომსახურებით სარგებლობა, - განაცხადა **დავით ზაალიშვილმა.**

სტიქიას ორგანიზებულად ებრძვიან

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უხვი ნალექის მოსვლის შედეგად, ბორჯომში ახალი უბნის ქალაქის ცენტრთან დამაკავშირებელ გზაზე, მდინარე მტკვრის ადიდებამ დამცავი ჯებირის საძირკველის ჩამოშლა გამოიწვია.

ახალი უბნის ქალაქის ცენტრთან დამაკავშირებელ გზაზე პრევენციული სამუშაოები მიმდინარეობს. მოიჭრა ხეები, რომლებიც დაზიანებულ მონაკვეთზე იყო. საჭიროების მიხედვით ადგილზე მობილიზებულია შესაბამისი ტექნიკა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის **ოთარ არბოლიშვილის** განცხადებით, საკითხის შესწავლა მაშინ დაიწყება, როცა წყლის დონე დაიკლებს. მდინარის დონის დაწევის შემდეგ, მდგომარეობას გეოლოგები შეისწავლიან.



უხვი ნალექის გამო ადიდებულმა მდინარემ სოფელ საკირისა და დვირის დამაკავშირებელ სამანქანო გზის ნაწილს და ბეტონის ჯებირს მიწა გამოაცალა. მთელი დღის განმავლობაში მუნიციპალური სამსახურები აწარმოებდნენ გამაგრებით სამუშაოებს. ადგილზე მობილიზებულია შესაბამისი ტექნიკა. ამ დროისათვის გზაზე გადაადგილება შეზღუდული არ არის. ნალექის შემცირების შემდეგ სპეციალისტები ტერიტორიას შეამოწმებენ.

პროფესიასწავლების შენობა მალე მწყობრში ჩადგება

ბორჯომში ჯერ კიდევ მეფის რუსეთში აშენებული პროფესიასწავლებლის ისტორიული, მყარი კედლებით და წითელი აგურით ნაგები შენობა რესპუბლიკის მასშტაბით საუკუნეზე მეტ ხანს წარმოადგენდა მოსწავლე-ახალგაზრდობის პროფესიული დაოსტატების კერას. აქ იზრდებოდნენ კალატოზები, მლესავები, მღებავები, ზეინკლები, დურგლები, და კიდევ სხვა პროფესიის ახალგაზრდები. ოც წელზე მეტია, ეს შენობა აღიგავა პირისაგან მიწისა (მის ადგილზე საავადმყოფო ააშენეს) და ახლა პროფესიონალი ხელოსნები გვეწატრება ბორჯომლებს. მათ მოსაძებნად და მოსაყვანად რაიონს გარეთ გვიწევს წასვლა. აგერ ქალაქის ცენტრში „ორბიტის“ შენობის რეკონსტრუქციაზე თურქეთიდან ჩამოყვანილი ხელოსნები მუშაობენ.

ბოლო წლებში ბორჯომის მერიაში ალბათ ერთ-ერთ ყველაზე სასარგებლო და პრაქტიკული პროექტის განხორციელებას დაუჭირეს მხარი, - ჩვენს ქალაქში კვლავ გახსნილიყო პროფესიასწავლებელი. წლინახევრის წინ გამოინახა ადგილი ლიკანში ყოფილი სატვირთო ავტოსაწარმოს ტერიტორიაზე. ჯერ სამუშაოები ცოტა ხანს შეფერხდა, რადგან მაღალი ძაბვის ელექტროხაზები იყო გადასატანი. ზუსტად ერთი წლის წინ კი დაიწყო მშენებლობა სწრაფი ტემპით და, აი, ახლა უკვე საავტომობილო გზას გადმოსცქერის სამსართულიანი შენობის კარკასი (ერთი სართული მიწის ქვეშაა).



ამ დღეებში ვეწვიეთ სამშენებლო ობიექტს. აქ დაგვხვდა „მასპინძელი“ - უბნის უფროსი, გამოცდილი მშენებელი **ივანე ცარციძე.** ის თავის ვაგონ-კაბინეტში ნახაზებში და პროექტებში იყო თავჩარგული. ბატონმა ვანომ გვითხრა, რომ წარმოშობით საჩხერელია, შრომითი სტაჟი 1972 წლიდან აქვს. ჯერ სამშენებლო ტექნიკუმი დაამთავრა, შემდეგ - თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი დაასრულა. საქართველოში ბევრ სამშენებლო ობიექტზე უმუშავია, 2009 წლიდან შპს „დაგში“ მუშაობს. სწორედ ეს სამშენებლო კომპანია (გენერალური დირექტორი **გოგი გულორდავა)** აშენებს ბორჯომის პროფესიასწავლებელს. უბნის უფროსის თქმით, აღნიშნული სამშენებლო კომპანია ერთ-ერთი ძლიერია რესპუბლიკაში და მრავალი სამუშაოები აქვს შესრულებული.

თვალის ერთი შევლებითაც ჩანდა, რომ კომპანია მართლაც ძლიერია. ეზოში უკვე შემოზიდულია უამრავი არმატურა და სამშენებლო ბლოკი. იქვე ეზოში მოწყობილია არმატურის საჭრელი დაზგა-საამქრო. როგორც ბატონმა ვანომ გვითხრა, ამჟამად 25 კაცი მუშაობს, დასაქმებულია ძირითადად ადგილობრივები. ახლა მუშაობენ მემონტაჟეები და ბლოკის დამწყობლები. მიწისზედა პირველი სართული უკვე ამოშენებულია, მალე მეორე სართულზეც დაიწყებენ ოთახების ბლოკებით ამოშენებას.

შენობის უკან, ტყის მხარეს, აღმართულია „არმატურების“ კედელი, სადაც მალე ჩაისხმება ბეტონიც. მთლიანად მშენებლებს მუშაობა უწევთ 1500 კვ მეტრზე. უბნის უფროსის თქმით - მალე შემოვა 5-6 ბრიგადა, 100-მდე კაცი და თავისი პროფესიის მიხედვით შეუტევენ სამუშაოებს. აქ იქნებიან: მლესავები, მღებავები, შიდაგაყვანილობის სპეციალისტები, ზეინკლები და სხვა.

აღნიშნული შენობა სასწავლო პროცესს მოემსახურება, აქვე განთავსდება კვების ბლოკი. რაც შეეხება მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელს, ამის შესახებ ბატონმა ვანომ ვერაფერი გვითხრა. შეიძლება საცხოვრებელი მერე აშენდესო.

შეხედავ შენობას და ამ კარკასებშიც კი თავისი დიზაინით გამორჩეულია: სართულებზე იქნება ფართო ოთახ-კაბინეტები; შენობის ორივე მხარეს აუყვება შიდა კიბეები. დაკვირვებული თვალი იმასაც შეატყობს, რომ შენობის მთავარი საყრდენი „ბოძები“ მაღალი ხარისხის ბეტონით არის ნაშენები. ხარისხზე რომ ჩამოვუგდე სიტყვა, ბატონმა ვანომ თქვა: ჩემს პრაქტიკაში უგულოდ და უხარისხოდ არაფერი გამიკეთებია და ახლა რატომ ვიკადრებ ამასო. თანაც ხარისხის ზედამხედველები თითქმის ყოველ კვირა გვამოწმებენ, განათლების სამინისტროდან ჩამოდიანო.

წვიმიან ამინდში და შაბათ-კვირასაც მუშაობენ აქ ადამიანები. რამდენიმეს გამოველაპარაკე. ერთი ჭიათურელი **ავთანდილ ცარციძე** აღმოჩნდა მემონტაჟე, ისიც „გეპეის“ ყოფილი სტუდენტი და ახლა უკვე გამოცდილი მშენებელი. ერთი წელია აქ შრომობს. მას ეხმარებოდნენ ტაძრისელი **ვალერი ჩუტკერაშვილი** და **დვირელი იოსებ ხუციშვილი.**

- თუ ხელი არაფერმა შეგვიშალა, შეიძლება შენობა აგვისტოს ბოლომდე უკვე მზად იყოს! - თქვა ბატონმა **ვანო ცარციძემ.**

არა, არაფერმა „ხელი არ უნდა შეუშალოს“! ღმერთმა ხელი მოუმართოს მშენებლებს!

უჩა არაგვისპირელი

„ბორჯომის» ქარხნები გაჩერდა

ბატონო ბიძინა, დაუბრუნე საქართველოს ხაზარაძის მიერ გაყიდული ქარხნები!

„ასავალ-დასავალმა“ ერთი თვის წინათ დაარისხა განგაშის ზარები ჩვენი ეროვნული სიმდიდრის - „ბორჯომის“ სასწრაფო გადარჩენის თაობაზე. მაშინ ამაზე არავინ ლაპარაკობდა, დღეს კი, როდესაც „ბორჯომის“ წარმოება უკვე შეწყდა, მთელი საქართველო საგონებელშია ჩავარდნილი.

კომპანია „ბორჯომი საქართველო“ იძულებული გახდა, 29 აპრილიდან დროებით შეეჩერებინა „ბორჯომის“ ჩამომსხმელ ორივე ქარხანაში წარმოების პროცესი! მიზეზი ის არის, რომ „ბორჯომის“ მფლობელი რუსი ოლიგარქი, მილიარდერი მიხეილ ფრიდმანი, რომელიც ლონდონის სასახლიდან გააპანღურეს და ანგარიშები გაუყინეს, სანქციირებულია და მის კომპანიებს სავალუტო ოპერაციები აკრძალული აქვს! ჰოდა, ეს დღე რომ არ დამდგარიყო, ამიტომაც გამოვიტანეთ საქვეყნო სამსჯავროზე „ბორჯომის“ გადარჩენის საკითხი ამ ერთი თვის წინათ!

რუსეთისთვის დაწესებული დასავლური სანქციები იმდენად მასშტაბურია, რომ, სხვადასხვა მონაცემით, უკვე დაახლოებით, ტრილიონი დოლარით შეამცირა სახელმწიფოს და ოლიგარქების ქონება! ამ ვითარებაში კი გაჩნდა შანსი, ჩვენი სამაყე - „ბორჯომის“ მინერალური წყლები დავიბრუნოთ!

შეიძლება, ბევრმა აქამდე არც იცოდა, რომ „ბორჯომი“ საქართველოს აღარ ეკუთვნის! ყაჩაღ-ბანკირ ხაზარაძის მიერ შევარდნაძის მმართველობისას ხელში ჩაგდებული ეს ეროვნული სიმდიდრე რამდენჯერმე გადაიყიდა და ბოლოს რუსი მილიარდერის მიხეილ ფრიდმანის ხელში აღმოჩნდა!

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ დასავლურ მედიაში პირველად „ბორჯომის“ თემამ სწორედ ამ ერთი თვის წინათ გაიჟღერა, როდესაც მსოფლიოში ცნობილი ეს მინერალური წყალი ესტონეთსა და ლიტვაში სუპერმარკეტების სავაჭრო ქსელიდან ამოიღეს! მიზეზი ბანალური იყო: ბალტიისპირელებმა დასავლური სანქციების კვალდაკვალ, საკუთარი დახლებიდან რუსული პროდუქცია გააქრეს! „ბორჯომი“ კი სწორედ „რუსულ პროდუქციად“ განიხილება, რადგან მისი მეპატრონე რუსი მილიარდერი მიხეილ ფრიდმანია.

როგორც ცნობილია, რუსეთისთვის დაწესებული სანქციების პარალელურად, პერსონალური სანქციები კრემლთან დაახლოებულ რუს მილიარდერებსაც დაუწესეს! მათ ჩამოართვეს მრავალმილიონიანი ვილები და იახტები, ასევე გაუყინეს საბანკო ანგარიშები! შესაბამისად, რუსი მილიარდერების კუთვნილი კომპანიების აქციებმა დასავლეთის საფონდო ბირჟებზე კატასტროფული ვარდნა განიცადეს წარმოდგენა რომ შეგვექმნას, რა უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაშიც აღმოჩნდა ეს მიხეილ ფრიდმანი, თვითონ მისი სიტყვებიდანაც ნათლად ჩანს! საერთაშორისო მედიაგიგანტ „ბლუმბერგთან“ ინტერვიუში მიხეილ ფრიდმანმა ღიად დაიჩივლა, რომ დამლაგებლისთვისაც კი ვეღარ ახერხებს ხელფასის გადახდას! არადა, რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე ფრიდმანის ქონება 14 მილიარდ დოლარს შეადგენდა! სანქციების შედეგად მისი ქონების ღირებულება □ქაღალდზე□ 10 მილიარდია! ანუ მან რამდენიმე დღეში 4 მილიარდი დაკარგა, მაგრამ დარჩენილი 10 მილიარდიც თითქოს აქვს, მაგრამ ხელი არ მიუწვდება!

- ალბათ, აჯობებს, თავად დავალაგო სახლი. კარგია, რომ როდესაც სტუდენტი ვიყავი, საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი და ერთ ოთახს ოთხ სტუდენტთან ვიყოფდი. ეს გამოცდილება 35 წლის შემდეგ მოულოდნელად გამომადგა ამბობს ფრიდმანი და სოწარკვეთილი ამატებს: „არ ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო ამის შემდეგ, მართლა არ ვიცი“!

არადა, მიხეილ ფრიდმანმა ის კი ზუსტად იცის, რომ სასწრაფოდ უნდა გაყიდოს დარჩენილი ქონება! და, რა თქმა უნდა, „ბორჯომშიც“, რადგან ამ მინერალური წყლით ვაჭრობას და ფულის მოგებას უკვე ვეღარ შეძლებს! რუსმა მილიარდერმა ამის შესახებ პირდაპირ განაცხადა კიდეც: „ბორჯომის“ საკონტროლო პაკეტს ვემშვიდობები!

ჰოდა, ამიტომაც მივმართეთ ბატონ ბიძიძინას, საქართველოს მთავრობას. საპარტნიორო ფონდს თუ ყველას, ვისაც ეს ხელეწიფება, დაუბრუნეთ ჩვენი ეროვნული სიამაყე საქართველოს!

ნამდვილად ვერ გეტყვით, ეს „თანამონაწილეობის ფონდით“ მოხდება, პირდაპირი გამოსყიდვით თუ „აწარმოე საქართველოში“ ცნობილი პროგრამით, მაგრამ ის კი ცხადზე უცხადესია, რომ **„ბორჯომი“ საქართველოს უნდა ეკუთვნოდეს და ვერავითარმა ხაზარბან კირმა და ჩარჩ-ვაჭარმა ვეღარ უნდა შეძლოს მსოფლიოში ცნობილი ქართული ბრენდის მოლალატეობრივად განიავება, მისით ჯიბის გასქელება!**

მე პირადად ხაზარაძისაგან კარგა ხანია, აღარაფერი მიკვირს, მაგრამ მაინც გამაოგნა მისმა ცინიზმმა და ნიანგის ცრემლების ნთხევით გაკეთებულმა განცხადებამ გადავარჩინოთ „ბორჯომიო“!

„ბორჯომმა“ წარმოება შეაჩერა. საფრთხის წინაშეა „ბორჯომის“ ბრენდი, მისი მომავალი, ექსპორტი, ათასობით სამუშაო ადგილი, შემოსავლები ბიუჯეტში“. აი, ამას ამბობს არსება, რომელმაც საქართველოს და ქართველ ხალხს „ბორჯომი“ აწამა!

ბიორგი ბიგაური

კონკრეტული საქმეების კეთებით შევეჯიბროთ ბორჯომის სიყვარულში

დღის წესრიგშია მძლავრი სამოქალაქო საზოგადოების ფორმა

ხშირად გვესმის **„მე მიყვარს ბორჯომი“** და მერე ფეისბუქზე გვიჩვენებენ ბორჯომის თვალწარმტაც ხედებს. მე ამ შესანიშნავი ლოზუნგის წინააღმდეგი სრულიადაც არ ვარ, მაგრამ ეს ლოზუნგი იმ ადამიანს ახარებს ვინც მხოლოდ ლამაზი ბუნების ხილვით იკმაყოფილებს თავის გემოვნებას.

ჩემი ღრმა რწმენით დევიზი **„მე მიყვარს ბორჯომი“** ბევრად მნიშვნელოვანია და ნიშნავს არა მარტო ლამაზ ხედებს, არამედ როცა კრიტიკულად აფასებ ყოველივეს, რაც შენს ირგვლივ ხდება და განწყობას, სიმყუდროვეს გირღვევს, ფხიზელი თვალით აფასებ ცუდად გაკეთებულს, ან გასაკეთებელს, შეურიგებელი ხარ მშობლიური ქალაქის მიმართ გამოჩენილი ვანდალური ან პირადი გამორჩენის მიზნით ჩადენილი დანაშულისადმი, ადამიანებისადმი რომლებიც არ უფრთხილდებიან საერთო სახალხო საკუთრებას, გული არ შესტკივათ ანტისაზოგადოებრივი ქმედებებისადმი. მათთვის უსამართლობასთან, უწესრიგობასთან ბრძოლა ჯერ კიდევ არ გამხდარა საზოგადოების, ინტელიგენციის ყოველდღიური ზრუნვის საგანი, ინერტული ადამიანები არ იჩენენ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას მშობლიური ქალაქისადმი. არ ჩანს, ვის როგორ უყვარს სამშობლო, მშობლიური ქალაქი, ქუჩა, უბანი თუ სოფელი.

გავარღვიოთ თვალთმაქცობის, უპასუხისმგებლობის, მცონარობის, სიზარმაცის, ვაიპატრიოტიზმის, სილატაკის მოჯადოებული წრე და ტრადიციების შენარჩუნებასთან ერთად მაღალი ტექნოლოგიების ქვეყანა გავხდებით.

სანამ ქართული ამბიციების საწინააღმდეგო ვაქცინა არ შეიქმნება, ქართველები ვერც გავერთიანდებით და ვერც სამოქალაქო საზოგადოებას შექმნით..

ბუნებრივად იბადება კითხვა, **რა ჭირდება ძლიერ, წარმატებულ სამოქალაქო საზოგადოებას?**

- წარმატებულ საზოგადოებას ესაჭიროება განათლებული ადამიანები, თავისუფლებისა და ქვეყნის სიყვარულისაკენ ლტოლვა. სამშობლოს სიყვარული თვითოეული ჩვენთაგანისათვის უპირველესია, უმრავლესობას გვიყვარს. მცირედ ნაწილს მოჩვენებითობის ჭია ღრღნის და გონია ამ ფარისეველობას ვერ ამჩნევენ.

ბევრს უჭირს საკუთარი პოზიციის ხმამაღლა გამოხატვა მიმდინარე პროცესების მიმართ, არ უნდა ხელისუფლებას, თანამოქალაქეს, მეზობელს, მეგობარს აწყენინოს. არადა, უნდა გვისაროდეს თუ რაიმე დადებითი ხდება და კეთდება, გულს გვტკენდეს, როცა საყვარელი სამშობლო, თუ მშობლიური ქალაქი მნიშვნელოვან გამოწვევებს ვერ უმკლავდება.

მიუღებელია განმარტება - პოლიტიკა პოლიტიკოსებმა აკეთონ ან მე აპოლიტიკური ვარ და ა.შ. ეს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობიდან გაქცევაა. საზოგადოებისათვის ჯანსაღი წინადადების მიწოდებას პოლიტიკოსობა არ ესაჭიროება, როცა შენ გთვლიან შემდგარ და ანგარიშგასაწევ პიროვნებად.

დღეს უკრაინა-რუსეთის ომია, ამასთან არანაკლებ ბინძური საინფორმაციო ომია მედიაში, განსაკუთრებით ტელევიზიაში. მედია წალეკა ანტიქართულმა და პრორუსულმა მოწოდებებმა. თითოეული მოქალაქის ვალია, დადგეს ჭეშმარიტების მხარეს.

მოდით, ვიყოთ გულახდილები, ჩვენ როგორც სამოქალაქო საზოგადოება ვერ შევდექით. არ გვაინტერესებს, ჩვენს ზღურბლს იქით რა ხდება.

რაც უფრო დაუმორჩილებელი იქნები კანონისადმი, მით უფრო „მაგარი“ ხარ. ფანჯრიდან ნაგვის გადაყრას **არაუშავს,** სადარბაზოს კედლების შებილწვას - **არაუშავს,** ლიფტში მოსაქმეობას - **არაუშავს,** საერთო ქონების ხელყოფას - არაუშავს, საკუთარი მანქანით 120-კმ-ით სირბილს **არაუშავს,** ერთმანეთის დაუმსახურებელ შეურაცხყოფას - **არაუშავს,** ტელევიზიიდან დედის გინებას **- არაუშავს,** აბა რას **„უშავს“**.

ჩვენ დავამარცხეთ კორონა, მაგრამ ვერ დავამარცხეთ ავადმყოფობა და ვირუსი, რომელსაც **უმადურობა** ჰქვია და ჩვენს საზოგადოებას სჭირს. სწორედ ამ უმადურობამ, ბოროტებამ და შურმა წაიყვანა ივანიშვილი პოლიტიკიდან, მისი ბადალი კი არავინ დარჩა. დიდხანს არც არავინ ეყოლება ამ ქვეყანას. ის კაცი ჩვენი დამცველი და მეოხი იყო

მწამს და ასეც იქნება, საქართველოს ბევრჯერ დასჭირდება და მოენატრება ბიძინა ივანიშვილი, რამდენიმე წელიწადში შუამავლებსაც გაუგზავნან, მაგრამ აღარ დაბრუნდება. (ნეტავ ვცდებოდე). კაცს ნამდვილად ქონდა რესურსი, შეეჩერებინა ქვეყნის უკუსვლა ყველა სფეროში. ახლა ყველამ პოზიციამაც და ოპოზიციამაც იგრძნო როგორ ძირგავარდნილი კასრივით დარჩა ქვეყანა, უმწეო, როგორც მიწაზე დაყრილი თევზი.

ზოგიერთები ამბობდნენ, ბელადონომიის დრო დამთავრდა. ხომ კარგად ვიცით, ჩვენისთანა პატარა ერს კი არა, დიდ სახელმწიფოებსაც ჰაერივით სჭირდებათ გონიერი, ბრძენი, გაბედული ლიდერი, რათა საკუთარი ერი და სამშობლო იხსნას გლობალური, კოსმიური და პოლიტიკური პანდემიებისგან.

პირადად მე, წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი ბელადომანიისადმი, მაგრამ ქვეყანას, რომ ლიდერს, „კითხული კაცის“ დეფიციტი აქვს, თვალნათლივ ჩანს.

დღეს, როცა კაცობრიობა და მათ შორის ჩვენი ქვეყანა აპოკალიფსური კატასტროფის წინაშეა, მას სჭირდება იმედი, რწმენა, გაერთიანება, პატრიოტული მუხტი, რომელიც გააჩნია ქარიზმატულ პიროვნებებს. სწორედ ასეთი პიროვნება გახლავთ ბიძინა ივანიშვილი.

ქართულ ფოლკლორშია ლექსი: **„კარგ ყმასა სწუნობს სოფელი, ეტყვიან: კარგი რად არის?! როცა კი გაუჭირდება, ყველა აბარებს სად არის!“** აი, ასეთი ვითარებაა ახლა ბედკრულ ქვეყანაში. ბიძინა წავიდა პოლიტიკიდან, მაგრამ არ წასულა სამშობლოდან და მწამს, არც წავა, მას ვერავინ გაიყვანს ერის ზნეობრივი და მენტალური სივრციდან.

ივანიშვილმა 8 წლის მანძილზე შეძლო დამსხვრეული სამშვიდობო სივრცის დაწყნარება. მან შექმნა სახელმწიფოს მართვის „ობობას“ ქსელისებური მოდელი. ამ ქსელში ზოგი მოყვა, ზოგი გარეთ დარჩა. **ამ მოდელმა პირში ჩალაგამოვლებული დატოვა უგუნური, ველური, სკამის მოყვარული პოლიტიკოსები.**

ივანიშვილმა გონივრული პოლიტიკით ლახვარი ჩასცა ცალკეულ რადიკალურ ოპოზიციურ პარტიებს. ვხედავთ, როგორი ცვლილებებია და დაშლის პირამდეა მისული ერთ დროს მყვირალა და მაღალრეიტინგული პარტიები.

ჩვენი უბედურების ყველაზე დიდი **„ქართლის ჭირი“,** რომელზეც ჯერ კიდევ უკრაინის ქალაქ მირგოროდში დასახლებული, დიდი გაჭირვებით და ფათერაკებით სიკვდილის გადარჩენილი **დავით გურამიშვილი** მოთქვამდა: **სხვა არაფერია, თუ არა შულლი, გაუტანლობა, წარმატებული კაცის მიმართ ჭორის გავრცელება, ჩასაფრება და სხვა ანომალიები. ეს ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი გამოვლინებები „შესანიშნავად“ ახასიათებს დღევანდელ პოლიტიკურ ელიტას, შემოსავლიანი სამსახურის დამკარგავებს, ხელმოცარულ ადამიანებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც სარფიან ადგილებში ვერ მოხვდნენ, ვინც თბილი, შემოსავლიანი სკამების გარეშე დარჩნენ.**

ამ თვისებებით არცთუ ცოტა რიგითი მოქალაქეებიც არიან, **რომლებიც სხვის დანაშაულებებს, გადაცდომებს „შესანიშნავად ხედავენ“, მაგრამ თავიანთს ვერც კი ამჩნევენ, როგორც წესი, სხვისი კრიტიკა ადვილია, საკუთარის ნურას უკაცრავად. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ეროვნული ინტერესებისა და თვითშეგნების დაბალი დონის გამოხატვა, რაც საერთო ჯამში ქვეყანას კატასტროფისა და დამარცხების მიზეზი ხდება.**

არაერთხელ დამიწერია, განვლილ 30 წელი ჩვენი ქვეყნისათვის ბეწვის ხიდზე სიარულის ტოლფასია. ვერა და ვერ მოიძებნა ის რაციონალური მარცვალი, რომელიც საქართველოს ჭეშმარიტ გზაზე დააყენებდა და ერი და ბერი სრულიად საქართველოს საზოგადოება ერთ მუშტად შეკრული იბრძოლებდა სამშობლოს აღორძინება-აყვავებისათვის,

თვალნათლივ ჩანს, პოლიტიკური ელიტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტისადმი.

კერძო საუბრებში განსაკუთრებით ქართულ სუფრაზე მკაფიოდ იკვეთება სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარული და პატრიოტიზმი, როგორც კი კონკრეტულად დადგება რომელიმე აქტუალური პრობლემის თუ უბრალო საკითხის გადაწყვეტისათვის საზოგადოების მობილიზება, თითზე ჩამოსათვლელ ადამიანს თუ ნახავთ ადგილზე მისულს. საზოგადოებრივი საქმისათვის ასეთი ინერტული დამოკიდებულება მეტად საზიანოა ერის კონსოლიდაციისათვის.

(ამ თემის გაგრძელებას მომავალშიც შემოგთავაზებთ).

ვალერიან ლომიძე

მომავალი თაობის სრულყოფილი აღზრდის სადარაჯოზე!

მშობლები - საჭიროებები და გამოწვევები

საძართველოში არსებული ფსიქოლოგიური სერვისები ძირითადად მიმართულია სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების დახმარებისაკენ. სერვისები არ არის საკმარისი, მაგრამ მათი არსებობა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მშობლების აქტიურობის დამსახურებაა. საქართველოში, სერვისების მოთხოვნის კუთხით, მშობლები ძალიან გააქტიურდნენ, მაგრამ სასურველია ეს აქტივობა მომავალში კიდევ უფრო გაიზარდოს. მშობლებისთვის გამოწვევაა დაიცვან შვილები და დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნები ეკონომიკურად. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების აღზრდას, ტიპური განვითარების მქონე ბავშვის აღზრდასთან შედარებით სამჯერ მეტი თანხა ესაჭიროება. ხშირად ადამიანი ვერ მუშაობს იმის გამო, რომ ბავშვს განსაკუთრებული მოვლა და ყურადღება ესაჭიროება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბავშვის სხვადასხვა თერაპიებზე თუ სერვისებზე ტარება სრულად ერთი ადამიანის მთელ დროს საჭიროებს. ფაქტია, რომ ასეთი მშობლები არიან ეკონომიური თუ ემოციური სტრესის ქვეშ. მდგომარეობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ საჭირო სერვისის მიღება შეუძლებელი იყო იმ ქალაქში თუ სოფელში, სადაც ბავშვი ცხოვრობდა.

ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ სოციალური სამუშაოს მაგისტრს, სარეაბილიტაციო ცენტრ **„ხედვა, ზრუნვა, მხარდაჭერა“**-ს ხელმძღვანელს ქალბატონ **მაია ციპლუგინას:**

- სარეაბილიტაციო ცენტრი **„ხედვა, ზრუნვა, მხარდაჭერა“** ფუნქციონირებს 2017 წლიდან. ცენტრში არსებული პროგრამები ემსახურება 0-18 წლამდე მოტორული და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების შეფასებას, მათი შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური, მეტყველებითი, კომუნიკაციური, მოტორული, თვითმოვლის უნარების განვითარებას, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას. აქტიურად ვმუშაობთ მშობლების ფსიქო-ემოციური გაძლიერების მიმართულებით. ბავშვისა და მშობლების საჭიროებიდან გამომდინარე, მუშაობის პროცესში ჩართულია სხვადასხვა სპეციალისტი: ფსიქოლოგი, ქცევითი თერაპევტი, სპეც.პედაგოგი, სოციალური მუშაკი, მეტყველების თერაპევტი, რეაბილიტოლოგი. ჟესტური ენის სპეციალისტი, მასაჟისტი. ბავშვთან მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალური გეგმით, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ მშობლები. ამჟამად სხვადასხვა პროგრამებში მომსახურებას იღებს 65 ბავშვი. ცენტრს კომუნალური ხარჯების დაფარვაში გვეხმარება ბორჯომის მუნიციპალიტეტი, რისთვისაც ბავშვების და მშობლების სახელით მუნიციპალიტეტის მერს **ოთარ არბოლიშვილს** დიდ მადლობას ვუხდით.

- ჩვენ ყოველთვის ვურჩევთ მშობლებს პირველ რიგში საკუთარ თავზე იფიქრონ, იმის გამო რომ შვილს სჭირდება და თუ მშობელი იქნება ცუდად, შესაბამისად შვილიც იქნება ცუდად. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მშობლების ფსიქოლოგიურ თუ ფიზიოლოგიურ კარგად ყოფნას. დღეს ისედაც შეჭირვებული მდგომარეობაა, არ არის მარტივი ბავშვის აღზრდა. ამიტომ ჩემი ფორმულაა, რომ მშობლები თუ კარგად არიან, ბავშვებიც კარგად იქნებიან.

თეონა გელაშვილი თავის ორ ვაჟთან 10 წლის ლუკასთან და 7 წლის საბასთან აქ არსებული სერვისებით ცენტრის დაარსების დღიდან სარგებლობს. თეონა დეტალურად მოგვიყვება მის მიერ განვლილ გზაზე, საკუთარ გამოცდილებაზე და იმ პრობლემებზე, რაც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის არსებობს. თეონა რჩევასაც მისცემს მშობლებს, რომელთაც მსგავსი საჭიროების მქონე შვილები ჰყავთ.

- ლუკა ბაგა-ბაღში წლინახევრის მივიყვანე და პედაგოგმა შეამჩნია, რომ ძალიან მშვიდი ბავშვი იყო. თუმცა, შემდგომ უკვე, როდესაც სამი წლის იყო, თბილისში გამოკვლევა ჩავუტარეთ. დადგა იმის საჭიროება, რომ აუცილებელი იყო ქცევით თერაპევტთან ხანგრძლივი კონსულტაცია. სამწუხაროდ, თბილისში მიწევდა ბავშვის ტარება და იქ დაახლოებით სამი წელი ვიარეთ. ეს იყო ორმაგი ფსიქოლოგიური სტრესი ჩემთვის და ჩემი მეუღლისათვის. სამი წლის შემდგომ მაია ციპლუგინასგან გავიგეთ აღნიშნული ცენტრის შესახებ და ჩვენ ვიყავით პირველები, სადაც მოვედით. ანალოგიური პრობლემა დაუდგინდა საბასაც, თუმცა ორივე საჭიროებდნენ დახმარებას და აქტიურად დავიწყეთ საიარული. პირველ რიგში დავზოგე დრო და ფინანსები, მუნიციპალიტეტი გარკვეული თანხით მეხმარებოდა, თუმცა ძალიან რთული იყო ლუკასთვის ტრანსპორტით მგზავრობა. ერთი ვიზიტი თბილისში 30 ლარამდე ჯდებოდა. ასე მოვხვდით ბორჯომის ადრეული ასაკის პროგრამაში და ახლა უკვე რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში გადავედით უკვე. ჩემი შვილები ახლა სკოლაში სწავლობენ, თუმცა პროგრამის ფარგლებში არსებულ არც ერთ შეხვედრას არ ვაცდენთ. ლუკა და საბა აღნიშნულ ცენტრში იღებენ ფსიქოლოგის, მეტყველების თერაპევტისა და რეაბილიტოლოგის მომსახურებას. პროგრამის ფარგლებში თვეში 8 ვიზიტი გვეკუთვნის და უნდა აღვნიშნო, რომ ეს ყველაფერი ჩვენზეა მორგებული.

● თეონა, რას ურჩევდით მშობლებს, რომლებსაც აღნიშნული საჭიროების მქონე ბავშვები ჰყავთ?

- პირველ რიგში ვურჩევდი, დაისვას დიაგნოზი. ასევე ოჯახის წევრების გვერდში დგომაც აუცილებელია და ნებისმიერ სიტუაციაში, თუკი საჭიროება მოითხოვს, თამამად შეუძლიათ მოაკითხონ აღნიშნულ ცენტრს, სადაც საკუთარი საქმის პროფესიონალთა გუნდი დახვდებათ.

შორენა დუმბაძე: – ჩემი შვილი გაბრიელი სამი წლისაა, თბილისის ნეირო განვითარების ცნტრმა გადაგვამისამართა ქცევით თერაპევტთან. დახმარებისათვის მივმართე სარეაბილიტაციო ცენტრ **„ხედვა, ზრუნვა, მხარდაჭერა“**-ს. აქ არსებული ქცევითი და მეტყველების თერაპიის კურსზე ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა გაგვიწია დაფინანსება. დაახლოებით სამი თვე გავიდა და ძალიან დიდი შედეგი აქვს უკვე, ამას აღნიშნავენ როგორც პედაგოგები, ასევე მეც ვატყობ ჩემ შვილს, რომ მისი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლა. უდიდეს მადლობას მოვახსენებ ბორჯომის, მუნიციპლიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ **დავით ზაალიშვილს,** სოციალური სამსახურის უფროსს **მიხეილ ხუციშვილს,** ასევე ქალბატონ **ირინა ალბორიშვილს** აღნიშნული დახმარებისათვის, რადგანაც თანხის გადახდას ნამდვილად ვერ შევძლებდი. ასევე მადლობა სარეაბილიტაციო ცენტრის თანამშრომლებს, რომლებიც გვერდში დამიდგნენ, სამომავლოდ უკეთეს შედეგს ველოდები.

სახელმწიფოს მშობლებზე, განსაკუთრებით კი იმ მშობლებზე, ვისაც სპეციალური საჭიროების მქონე შვილები ჰყავს, მათ მხარდასაჭერად მკაფიო ხედვა უნდა ჰქონდეს, რათა შესაბამისი სერვისების განვითარებას შეუწყონ ხელი. ასევე, კერძო კომპანიებსაც უნდა ჰქონდეთ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში პროგრამები მათთან მომუშავე მშობლებისათვის. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მშობლების გაძლიერება ხომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი შვილებისათვის.

მგალობელი თაჯირ-უფალი ნაბიჯით

ბატონ რუბენ ვეფხვაძის ოჯახში გაზრდილს, ალბათ, ხელოვნებისაგან, მხატვრობისაგან განსხვავებული სფერო რომ აერჩია, გასაკვირიც იქნებოდა. ბატონი რუბენის შვილიშვილი, ქალბატონი **სალომე** პროფესიით სამხატვრო რეჟისორია. მთელი ბავშვობა ხედავდა თუ როგორ მუშაობდნენ მისი ოჯახის წევრები ხელოვნების სფეროში. ბაბუა, რომელსაც სამხატვრო სახელოსნო ჰქონდა, სახლში მყოფიც არ წყვეტდა მუშაობას. სალომეს მამაც ხატავს და ხეზე კვეთის ოსტატია. მიყვება, რომ ბაბუას ხშირად დაყავდა ტყეში, ხან სოკოს საკრეფად, ხანაც სპეციალურად იმისთვის, რათა გარკვეულ ადგილას გაჩერებულიყვნენ და პეიზაჟი დაეხატათ. მიჰქონდა რვეული, საღებავები ჩანახატებისთვის.

სკოლის დასრულების შემდეგ ინტერიერის დიზაინზე გადაწყვიტა ჩაბარება, თუმცა ბოლოს გადაიფიქრა და მხატვრული კინოს რეჟისურაზე შეაჩერა არჩევანი. საბოლოო გადაწყვეტილებაც ალბათ იქიდან იყო განპირობებული, რომ გარდა იმისა, რომ კარგად ხატავდა, წერდა ლექსებს, ჩანახატებს და სწორედ ამ ყველაფრის ერთობლიობამ მიაღებინა საბოლოო გადაწყვეტილებაც. მხატვრული კინოს რეჟისურამ გააერთიანა მისი ყველაზე საყვარელი საქმიანობები და კინო აღმოჩდა ის სფერო, სადაც სიამოვნებით მუშაობს. ამ ეტაპზე სულ ათი მოკლემეტრაჟიანი ფილმი აქვს გადაღებული, აქედან ორი, რომელსაც დიპლომი აქვს აღებული, მრავალი ფესტივალის მონაწილეა. ფილმმა „ისინი და მამა“ - მოიპოვა ოთხი საუკეთესო მხატვრული ფილმის ტიტული. მისი ფილმები ძირითადად პირად ემოციებზეა დაფუძნებული. ყოველთვის სურს, რომ იყოს ორგანული, არ იყოს გამოგონილი, თუმცა წერის დროს უწევს რაღაცის შეთხზვა.

რა თქმა უნდა, ამაში ყოველთვის ეხმარება ლიტერატურა. ბოლო ნამუშევარია სახელწოდებით „მილა“, რომელიც სალომეს მეგობრის ანუკი ბურდულის მოთხრობის მიხედვითაა გადაღებული და რომლის სცენარის ავტორიც თვითონ სალომე გახლავთ. ამ ეტაპზე სრულმეტრაჟიან სცენარზე მუშაობს, რომელიც რამოდენმე განვითარების პროგრამაში მოხვდა და ერთგან ფულადი ჯილდოც ხვდა წილად. შემდგომ იმ თანხით გადაიღო „თიზერი“. იგი მოკლე საფესტივალოდ სანახავი ვერსია გახლავთ, რომელიც წუთიდან სამ წუთამდე ხანგრძლივობის თრეილერის მსგავსი ნამუშევარია. სამწუხაროდ, შენელებული ტემპით უწევს მუშაობა პანდემიიდან გამომდინარე, რადგანაც როგორც სალომე მიყვება, საქართველოს რეალობაში მსგავსი ტიპის პროექტების დაფინანსება ცოტა არ იყოს რთულია. სურვილი აქვს, რომ საერთაშორისო ფონდებზეც გავიდეს.

ჩემთან საუბარში იხსენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობაში სულ დაკავებული იყო და სხვადასხვა შემოქმედებით წრეებზე დადიოდა, მისთვის მაინც არ იყო საკმარისი ყოველივე. გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ბალერინობაზე ოცნებობდა და სამწუხაროდ, ბორჯომში მსგავსი სტუდია არ არსებობდა.

უკვე მოზრდილ ასაკში, როდესაც თბილისში გადავიდა საცხოვრებლად, თანამედროვე ბალეტზე სამოყვარულო ჯგუფში იარა და ამით თითქოს ერთგვარად მაინც აიხდინა ბავშვობის ოცნება. იმის გამო რომ სულ რაღაც სიახლეს ეძებდა, გადაწყვიტა, ბავშვებისათვის თანამედროვე ხელოვნების სკოლა მშობლიურ ქალაქში, საკუთარ სახლშივე დაეარსებინა. სამთვიანი კურსი მოიცავს თავისუფალი ხატვის სტილს, რომელიც არ არის სტანდარტული სწავლება, ის არ მოიცავს კლასიკური ხატვის მომენტებს სწავლებაში. პრაქტიკულთან ერთად თეორიული კურსიც შედის. მთლიანად პროგრამა იმპრესიონიზმიდან თანამედროვე ხელოვნებამდეა გადანაწილებული. კურსზე სწავლა ხუთიდან ცამეტ წლამდე ასაკის მოსწავლეებს შეუძლიათ. მთლიანი კურსის ღირებულება 300 ლარს შეადგენს. თუმცა, მრავალშვილიან ოჯახებზე შეღავათებია.. მნიშვნელოვანია, რომ სალომემ დახმარებისთვის ადგილობრივ მუნიციპალიტეტს მიმართა, სადაც 500 ლარით დააფინანსეს და აღნიშნული თანხით საჭირო მასალები შეიძინა, რომელიც პირველი ეტაპისთვის ნამდვილად გამოადგა. ამჯერად სულ 7 მოსწავლე ჰყავს. გაკვეთილის ხანგრძლივობა საათნახევარს გრძელდება. ნახევარი საათი თეორიულ ნაწილს ეთმობა, ხოლო ერთი საათი ხატვას. აქ კვირაში ერთი დღე თავისუფალი ხატვისთვისაა გამოყოფილი, ხოლო შემდეგი ერთი დღე თეორიულ საკითხებს განიხილავენ და შერჩეული მხატვრის მიხედვით ასრულებენ ნახატს. მაგრამ მოსწავლეს არც ასეთ დროს არავინ სთხოვს ზუსტ კოპირებას, ისიც მათ პირად ხედვებზეა დამოკიდებული. ხელოვნების სკოლა მარტის დასაწყისში გაიხსნა და სალომე ზაფხულის პერიოდში ფიქრობს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენის მოწყობას, რაც ნასწავლი მასალის ერთგვარი შეჯამება იქნება.

სექტემბრიადან ფიქრობს, რომ ზრდასრულებისთვისაც შექმნას ახალი ჯგუფი. ამბობს, რომ თანამედროვე მხატვრობის დადებითობა სწორედ ის არის, რომ დღეს ის გარკვეულ სტანდარტებსა და ჩარჩოებში აღარ ჯდება და ფიქრი იმაზე, რომ მაინცდამაინც ხატვას აუცილებლად თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება, ეს ასე სულაც არაა. ყველაფერი სწავლის ხარისხზეა დამოკიდებული.

იმედს იტოვებს, რომ მუნიციპალიტეტისთვისაც პრიორიტეტი იქნება მომავალი თაობების ხელშეწყობა და მოხარული იქნება, თუ კიდევ დამატებით თანადგომას იგრძნობს.

წარმატებები გვინდა ვუსურვოთ სალომეს საუკეთესო საქმის წამოწყებაში.

დაზიანებული გზა საფრთხეს ქმნის

მთელი ბავშვობა ახალი უბნიდან ბორჯომის №1 საშუალო სკოლამდე მტკვრის სანაპირო ზოლის გასწვრივ არსებული მონაკვეთის გავლა მიწევდა ყოველდღიურად. დაახლოებით ოცი წლის წინ, გადაუღებელი წვიმის შედეგად დილით სკოლაში მიმავალს აღნიშნული გზის მონაკვეთის მოზრდილი ნაწილი ჩანგრეული დაგვხვდა.

არსებული მონაკვეთის გასწვრივ დააწყეს დამცავი ნიშნულები და ამ ოცი წლის მანძილზე ხალხს მაინც შიშით უწევდა გადაადგილება. ახალი უბნის მოსახლეობისთვის აღნიშნული გზა ერთადერთ სამანქანო გზას წარმოადგენს. სამწუხაროდ, ამ ბოლო დღეების მანძილზე მოსულმა უხვმა ნალექმა და ადიდებულმა მტკვარმა არსებულ მონაკვეთზე ღრმულები და ნაპრალები გააჩინა. დადგა იმის საშიშროება, რომ დარჩენილი გზის ნაწილი მოულოდნელად ჩაინგრეს და მოსახლეობა მთლიანად მოწყდეს ქალაქის ცენტრს. არსებულ მონაკვეთზე 6 მაისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ოთარ არბოლიშვილმა დაათვალიერა დაზიანებული მონაკვეთი და აღნიშნა, რომ მტკვრის დონის დაწევის შემდგომ, ყველა შესაბამისი ორგანო ჩაერთვება ტერიტორიის კვლევასა და სიტუაციის შეფასებაში, რომლის მიხედვითაც მოხდება შესაბამისი რეაგირება. ამ ეტაპზე კი არსებულ მონაკვეთზე მოიჭრა ხეები და დაიდგა ნიშნულები, რათა მოსახლეობამ შეძლებისდაგვარად უსაფრთხოდ შეძლოს გადაადგილება. იმედს ვიტოვებთ, სანამ მტკვარი ჩვეულ კალაპოტს არ დაუბრუნდება და შესაბამისი სამუშაოები ჩატარდება, მანამდე სიტუაცია ისეთ დონემდე არ გართულდება, რომ მსხვერპლით დასრულდეს.

ლევან ბერძენიშვილი ბორჯომელ ახალგაზრდებთან

5 მაისს, ბორჯომში ახლადდაფუძნებული ახალგაზდული ცენტრის ორგანიზებით ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, **ლევან ბერძენიშვილი** შეხვდა ახალგაზრდებს. მან საჯარო ლექცია სახელწოდებით - **„ლიტერატურა და თანამედროვე გამოწვევები“** საინტერესოდ წარმართა. რა თქმა უნდა, საუბარი დაიწყო ლიტერატურით, წიგნებით, მთავარი თუ არამთავარი გმირებით. მხატვრული ლიტერატურის როლი რამდენად დიდია ადამიანის აზროვნებისთვის - ეს კი ვიცით, მაგრამ ახალგაზრდებს მუდმივად ჭირდებათ ასეთი ავტორიტეტები, ასეთი ნაკითხი ადამიანების ყურის გდება, რადგან ეს დიდი გამოცდილებაა. შეიძლება მის ნარატივს არ ეთანხმებოდე, არ იზიარებდე, მაგრამ ისეთი მომნუსხველი თხრობა ვის არ დაატყვევებს, ვის არ გაექცევა დრო? ყველაზე ღირებული ამ შეხვედრიდან უნდა გამოვყოთ წიგნიერების დონის ამაღლებისკენ მოწოდებები. ბატონმა ლევან ბერძენიშვილმა სთხოვა დავალებად ახალგაზრდებს, რომ დღესვე აეღოთ „ვეფხისტყაოსანი“ და ავთანდილის ანდერძი წაეკითხათ, მერე კი თითო დღეს ამავე უკვდავი წიგნიდან ოციოდე სტროფი. მოწვეულმა სტუმარმა აღნიშნა საგანმანთლებლო სისტემაში არსებული ატმოსფეროც და დაუფარავდ თქვა, რომ ხშირად ლიტერატურისა და ისტორიის პედაგოგები სიმართლეს თავს არიდებენ და ამა თუ იმ თემის, ან მწერლის სწავლებისას დიდ ასპარეზს არ აძლევენ ახლებურ აზროვნებას, სკოლა ისევ გასულ საუკუნეებში აღქმულ ქარგას მისდევს. შეხვედრის დასასრულს, ბატონმა ლევანმა ბავშვებისგანაც მოისმინა კითხვები, ურჩია საინტერესო წიგნების წაკითხვა და სამახსოვრო ფოტოც დაუტოვა დამსწრე საზოგადოებას. მადლობა ნამდვილად ეკუთვნის ამ დასამახსოვრებელი სტუმრობის ორგანიზატორებს: **გიორგი ოგანესიანს და მაიკო ხუციშვილს**, რაც უფრო მეტი ასეთი სეგრცე გაჩნდება ქალაქში, მით მეტი ახალგაზრდა დაინტერესდება და დაკავდება საზოგადოებრივი აქტივიზმით.

მონიკა დიოსკურელი

პრემიერა ბორჯომის თეატრში

ბორჯომში 7 და 8 მაისს სახალხო თეატრის დასმა ნიკოლაი გოგოლის „შეშლილი წერილები“ წარმოადგინა. პრემიერამ მართლაც საინტერესოდ ჩაიარა. გოგოლის იუმორი ტრაგიკომედიურ დრამად იქცა. ცხოვრება იმდენად სასტიკი, ულმობელი და გაუსაძლისი გახდა, რომ ადამიანებს ისღა დაგვრჩენია, საკუთარ ნაჭუჭში ჩავიკეტოთ, ჩვენი პარალელური სამყარო შევქმნათ, დავიჯეროთ ის და ვიცხოვროთ მასში. ასეთ ადამიანებს საზოგადოება შეშლილებს უწოდებს... მთავარი როლის შემსრულებელმა (**ზაურ ხოჭოლავამ**) არა მხოლოდ გაამართლა, არამედ გამართლებას გადააჭარბა კიდეც. ის ყველნაირად ცდილობდა, შესულიყო და გაეთავისებინა შეშლილის ნიღაბი. მაგიდის ქვეშ დამალულის მონოლოგი საუკეთესო კულმინაციად შეგვიძლია ჩავთვალოთ. აპლოდისმენტები მას! როგორც ყოველთვის, დასის მსახიობები **(ბაქარ ლომიძე, თამარ გელაშვილი, მარიამ ლომიძე, სალომე მიქელაშვილი)** ჩვეული ოსტატობით მიჰყვებოდნენ სპექტაკლს. მაინც გამოვარჩევდი თითქმის უსიტყვოდ დარჩენილ როლს - მავრას და ძაღლუკას როლს. მსახიობის ოსტატობა არ აკლდა მათ. **„შეშლილის წერილები“** მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი იდუმალი ნაწარმოებია, რადგან არ ვიცით, რომელი ჯობია: - იცხოვრო ჩვეულებრივ ადამიანად, რომლის ყოფა გაუსაძლისია, თუ იცხოვრო შეშლილად და უფრო იოლია, საკუთარი თავი დაიფარო ამდენი სისასტიკისგან. თითქოს, ავტორის ჩანაფიქრი იყო ადამიანის უცაბედი შეშლა, მაგრამ დავინახეთ აბსოლიტური გარდატეხა: მოულოდნელად გოგოლის გმირი მართლაც იშლება: თუ დირექტორის ქალიშვილი შეგიყვარდებათ, შესაძლებელია ცხოველების ენაც გაიგოთ მარტივად, ან, იცოდეთ, ესპანეთის მეფე როგორ მუშაობს ჩუმად ქაღალდების გადამწერად პეტერბურგის დეპარტამენტში, ადვილად მოიპოვოთ ძაღლების მიმოწერები, თქვენ გგონიათ, რომ მთვარე ჰამბურგშია დამზადებული. გოგოლი არასდროს ერიდებოდა ემხილებინა იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ფონი, რაც ახლა სცენიდანაც საკმაოდ მწარედ გაისმოდა: - რომ ჩინოვნიკები თეატრში არ დადიან, ან იმ შემთხვევაში მივლენ, თუ ვინმემ უფასო ბილეთი აჩუქათ.

წარმატებები ახლგაზრდა რეჟისორს - ლუკა ინწკირველს, რომელმაც კიდევ ერთხელ შეგვახსენა კლასიკა, შეგვახსენა ოცდამეერთე საუკუნისთვის მნიშვნელოვანი გზავნილები!

მონიკა ჭანტურია

საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში

საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით **„ლმერთო, მიმრავლე სათნოების დღე“**.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ბორჯომის წმ. გიორგის სახელობისა და ჭობისხევის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრების მოძღვარი მამა **ილარიონი (კოსი)**; ბორჯომის საკრებულოს დეპუტატი ქალბატონი **ვიოლეტა ბალახაშვილი;** სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურების ცენტრის თანამშრომლები და ხელმძღვანელი ბატონი **ვაჟა გელაშვილი;** პოეტი ქალბატონები: **ანასტასია ხაჩიძე, იზოლდა სარქისიანი, ნათელა ტაბატაძე;** მწერალი **სათუნა ურჩაძე**.

მონაწილეობას იღებდნენ №3 და №6 საჯარო სკოლების მოსწავლეები; მუსიკალურად აფორმებდა მგალობელ გოგონათა გუნდი **ლელა მუხურაძის** ხელმძღვანელობით. ღონისძიებას უძღვებოდა კოორდინატორი **ნანული სალაღაია**

გამარჯვებულთა დაჯილდოება

5 მაისს, საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა 14 აპრილს გამართული **კალიგრაფიის კონკურსის მონაწილეთა** და გამარჯვებულთა, ასევე ინტელექტუალური თამაშის **„რა? სად? როდის?** გამარჯვებულთა დაჯილდოება.

მადლობა მუნიციპალიტეტი ტრანსპორტისთვის

ბაკურიანიდან 9 კილომეტრის რადიუსში ულამაზესი სოფელი ციხისჯვარი დაგვხდებათ, რომლის საჯარო სკოლის უმეტესი პედაგოგები წლების განმავლობაში ბორჯომიდან დიდი დაბრკოლებებით ადიოდა დანიშნულ ადგილამდე, რათა ჩაეტარებინათ სრულფასოვანი გაკვეთილები. სულ რაღაც ერთი წლის წინ, თებერვლიდან სასიკეთო ცვლილები დაიწყო. კონკრეტულად თუ რაზეა საუბარი, ამაზე სამადლობელს ციხისჯვრის საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ჯული მაისურაძე** გვწერს: - როგორც მოგეხსენებათ, 1997 წელს მოვხვდი ციხისჯვრის სკოლაში და თითქმის 25 წელია უკვე, რაც აქ ვმუშაობ. ყოველთვის მოუგვარებელი გახლდათ ტრასპორტის პრობლემა, თუმცა შარშან გულთან მიიტანეს ჩვენი პრობლემა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა. შესაბამისად, დახმარება გაგვიწიეს და მასწავლებლებს შეექმნათ შესაძლებლობა ბორჯომიდან ციხისჯვრის სკოლამდე მისულიყვნენ. აქამდე ეს ფუფუნება არ ჰქონიათ და უწევდათ აქ დარჩენა სამუშაო დღეებში. შეიძლება ვინმესთვის ეს ფაქტი გასაკვირი იყოს, მაგრამ ნამდვილად რამდენიმე დღეები სოფელში დარჩენა უწევდათ. დღის წესრიგში უკან დაბრუნება დადგა. ამ კუთხით წელსაც გამოიჩინეს თანადგომა და სკოლის პედაგოგები გაკვეთილების შემდეგ ბრუნდებიან უკან, ბორჯომში. ყველას თანაბრად ახარებს ეს სიახლე: მოსწავლეებს, მშობლებს. ფაქტიურად, მოგვარებულია პედაგოგების ტრასპორტირების პრობლემა, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუძღვნით ყველა იმ ადამიანს, ვინც უშუალოდ მცირე წვლილი მაინც შეიტანა ამ გამონვევაში.

პენსიონერთა რიგები ლიბერთი ბანკში

10 მაისს ხალხმრავლობა შეინიშნებოდა ბორჯომში მდებარე ლიბერთი ბანკში. მიუხედავად იმისა, რომ ბანკმა 10 საათის ნაცვლად მუშაობა დილის 09:30 წუთზე დაიწყო, მოსახლეობის რიგები საღამოს ექვს საათამდე არ წყდებოდა. პენსიის ასაღებად მოსული მოსახლეობა სრულ გაურკვევლობაში აღმოჩნდა, რადგანაც პენსიის რიგში მდგომთ ადგილზე 5 ოპერატორის ნაცვლად 2 ოპერატორი ემსახურებოდა. სამწუხაროდ, თანხა არ აღმოჩდა არც გარეთ მდგარ ბანკომატშიც, რომლითაც პენსიონერთა ნაწილს მაინც შეეძლეებოდათ სარგებლობა. გაზეთი „ბორჯომი“ ადგილზევე შეეცადა არსებული სიტუაციის გარკვევას.

თინა: - დილიდან ბანკში ვარ. რაც აქ დავდივარ, ასეთი სიტუაცია არ მახსოვს. ჯერ ხომ ორი ოპერატორი იყო ადგილზე და ისინიც სიარულის მეტს არაფერს უნდებიან. სამი საათია და ამ დრომდე მარტო ერთი ოპერატორი მუშაობს. 185-ე ვარ რიგში და ჯერ 145 მოქალაქე ძლივს მიიღეს. სამწუხაროდ, თანხა არც ბანკომატში არ აღმოჩნდა, გატანა რომ შემძლებოდა.

ჯემალი: - 3 საათია ბანკში ვარ. როგორ შეიძლება, პენსიონერი საკუთარი პენსიის ასაღებად მიდის, ასაკოვანი ადამიანი ამ მდგომარეობაში ამყოფო? ასეთი უპასუხიმგებლობა არ მინახავს, ვიჯდები და დაველოდები. პენსიის გამომტანი მე არავინ მყავს.

P.S. როგორც გაზეთ „ბორჯომთან“ ლიბერთი ბანკის ახალმა დროებითმა მმართველმა ქალბატონმა მარიამ ხარაიშვილმა განაცხადა, სამწუხაროდ ამ ეტაპზე კადრების უკმარისობაა. რამდენიმე თანამშრომელი გადამზადებას გადის თბილისში და ფაქტიურად, ვერანაირ ალტერნატივას ვერ შესთავაზებენ მომხმარებლებს. ბანკომატსაც გარკვეული ხარვეზები ჰქონდა დღის განმვალობაში, თუმცა სამი საათიდან ის უკვე გამართულად მუშაობს. ასევე ბოდიში მოუხადა მოსახლეობას არსებული გაურკვევლობის გამო.

ნანო ფელიქიძე

ნუგზარ გელაშვილის მოსაგონარი

მის ცხოვრებას სიმღერა ერქვა

ორმოცი დღე შესრულდა შესანიშნავი მომღერლის, ღირსეული პიროვნების, რესპუბლიკის სახალხო არტისტის, მრავალგზის ლაურეატის, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და ამსამბლ „რუსთავის“ სოლისტის, ბორჯომის საპატიო მოქალაქის, ყველა ბორჯომელისათვის სახელოვანი და საყვარელი პიროვნების ნუგზარ გელაშვილის გარდაცვალებიდან.

ბატონმა ნუგზარმა ბორჯომის საქვეყნოდ ცნობილი სახელი კვლავ უფრო შორს გიტანა, მან სიმღერით თითქმის მთელი მსოფლიო შემოარა, ოპერის თეტრში - 45, ხოლო ანსამბლ „რუსთავში“ 35 წელი მღეროდა. მსმენელთა უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ნუგზარი ბორჯომელთა შორის დიდი სიყვარულით სარგებლობდა, არაერთი საავტორო კონცერტის მოთავე, შესანიშნავი მომლხენი და მოსაუბრე გახლდათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი და თენგიზ ზეინკლიშვილის თაოსნობით ბორჯომში ზაქარია ფალიაშვილის ძეგლის დადგმა, სხვა ბევრი სასიკეთო ღონისძიებების გამართვა და სხვა.

ბატონ ნუგზარზე დაუსრულებლივ შეიძლება საუბარი, უდავოდ დიდი პიროვნება გამოაკლდა ჩვენს ქალაქს.

88 წელი იცხოვრა, ლამაზი ოჯახი შექმნა ქალბატონ ლია თავგართქილაძესთან ერთად, შესანიშნავი ორი ქალიშვილით ამყობდა. სიძეებით და შვილიშვილებით ხარობდა. ტკბილ მოგონებად დაგვრჩა მასთან შეხვედრები.

ნათელში ამყოფოს შესანიშნავი ბორჯომელის, სახელოვანი მომღერლის ნუგზარ გელაშვილის სული. მისი ხსოვნა დაუვიწყარია.

მეგობრების სახელით

ვალერიან ლომიძე.

გელა მიქელაძის ხსოვნას

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კეთილშობილებით და გულისხმიერებით გამორჩეული გელა მიქელაძე, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ახლობლებისა და მეგობრების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბორჯომის „საქკურორტმშენში“ მუშად.

1989 წელს დაამთავრა მოსკოვის კუიბიშევის სახელობის სამშენებლო-საინჟინრო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო მოსკოვის მეტრომშენში. მომდევნო წლებში დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობდა „საქსოფელმშენის“ ბორჯომის მცირე საიჯარო საწარმოში მომმარაგებლად. 1993-2000 წლებში მუშაობდა ბორჯომის საბინაო კომუნალური მეურნეობის სახლმმართველად.

1998 წელს არჩეული იყო ბორჯომის საკრებულოს დეპუტატად. 2001 წელს დაინიშნა ბორჯომის გამგებლის მოადგილედ.

ყველგან, სადაც იმუშავა თანამოსაქმეთა და ხელქვეითთა შორის დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. გამოირჩეოდა მოვალეობის დიდი პასუხისმგებლური შესრულებით.

წავიდა ჩვენგან ბორჯომზე და ბორჯომელებზე, ოჯახზე და მეგობრებზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება, რომლის სსოვნას დაუვიწყარი იქნება მათთვის ვინც კი იცნობდა და პატივს მიაგებდა მის ღირსეულ კაცობას და ადამიანობას.

მსუბუქი იყოს მის გულზე დაყრილი მშობლიური ბორჯომის მიწა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს. ამინ!

მეგობრები

სამოქალაქო საზოგადოება „ბორჯომელების“ გამგეობა სამძიმარს უცხადებს საზოგადოების აქტიურ წევრს, ბორჯომის საპატიო მოქალაქეს, ზაურ შერგელაშვილს მეუღლის, შესანიშნავი ქალბატონის

დალი მერაბიშვილი-შერგელაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ.№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57.

borjomi@inbox.ru **რედაქტორი: ვალერიან ლომიძე**